იაპონიის საელჩო
7დ კრწანისის ქ.; 0114 თბილისი

2 ოქტომბერი 2013

პრეს რელიზი

იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული „ხაშურის # 1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია“ პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

3 ოქტომბერს, 12 საათზე, ქალაქ ხაშურში გაიმართება იაპონიის მთავრობის მიერ, ადამიანთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული, ხაშურის # 1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტის საზეიმო **გახსნის ცერემონია.** ცერემონიას დაესწრებიან – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ჯონას პასლაუსკას ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

ზემოხსენებული პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი 2013 წლის 7 თებერვალს მოეწერა იაპონიის საელჩოსა და საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ შორის. პროექტის მიზანი ხაშურის # 1 საბავშვო ბაღში საგამანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაა. ზემოხსენებული პროექტი არის იაპონიის და ლიტვის რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი ინიციატივა. პროექტის ფარგლებში 200–მდე მოსწავლე ისარგებლებს ამ პროექტით, რომლის ღირებულებაც 119,541ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.

„გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ (GGP) საგრანტო პროგრამა დახმარებას უწევს შედარების მცირემაშტაბიან პროექტებს, რომლებიც ინიცირებულია ადგილობრივი მთავრობების, სამედიცინო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა არაკომერციული სექტორის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ყოფის სტანდარტის გაუმჯობესებას. პროგრამა ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საზოგადო ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება, გარემოს გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და სხვა. 1998 წლიდან GGP–ის ფარგლებში დაფინანსდა 130 პრეოქტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 12,161,961 ა.შ.შ. დოლარი შეადგინა. იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარებამ კი 362 მილიონ ა.შ.შ. დოლარს გადააჭარბა.

რეკონსტრუქციამდე

რეკონსტრუქციის შემდეგ

გახსნის ცერემონია